ᲛᲨᲠᲝᲚᲔᲗᲐᲠᲘᲐᲜᲝ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥ. Კ. Პ. (ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐ
ᲓᲐ ᲡᲐᲥ. ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲭᲝᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ
15 ᲛᲐᲘᲡᲘ
1941 Წ.
№ 112 (6117)
ᲤᲐᲡᲘ 15 ᲙᲐᲞ.

4367 ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲕᲠᲙᲝᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲖᲔ

ᲡᲐᲮᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡ ᲤᲐᲠᲐ ᲓᲐᲘᲪᲕᲐ ᲡᲐᲮᲝᲒᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ. ᲗᲠᲘᲐᲚᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲙᲐᲯᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲓᲘᲡᲢᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲠᲘᲝᲓ ᲒᲐᲢᲐᲠᲘᲡ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲐᲠᲘ. ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲛᲝᲜᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲐᲠᲘ. ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲛᲝᲜᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲖᲘᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲘᲪᲕᲐ ᲡᲐᲮᲝᲒᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲛᲝᲜᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ

„სსრ კავშირის ამპელოგრაფია"

მოსკოვი, (საგდესი). სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი შეუდგა 15-ტომიანი „სსრ კავშირის ამპელოგრაფიის" გამოცემას. ეს გამოცემა უძვირფასესი განძი იქნება მეღვინეობა-მევენახეობის არა მარტო საბჭოთა მეცნიერების, არამედ მსოფლიო მეცნიერებისთვისაც.

ამ კაპიტალური ნაშრომის ოთხ ტომში მოთავსებული იქნება საბჭოთა ვაზის ძირითადი სამრეწველო ჯიშებისადმი მიძღვნილი 160 მონოგრაფია. თვითეულ ამ ჯიშზე შედგენილი იქნება სრული აგრობოტანიკური აღწერა, საწარმოო დახასიათება. 2 შემდგომ ტომში შევა ვაზის ის ჯიშები 540 მონოგრაფია, რომლებსაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჯერჯერობით ნაკლებად არის გავრცელებული.

ცალკეული ტომები მიეძღვნება საბჭოთა სელექციის დახასიათებას, რუსეთის სფს რესპუბლიკის, მოლდავეთის სს რესპუბლიკის, ამერკავკასიისა და შუა აზიის მევენახეობისა და მეღვინეობის დახასიათებას, ყურძნის მთელი მსოფლიო ასორტიმენტის აღწერას. მე-15 ტომში მთლიანად მოთავსებული იქნება სსრ კავშირის მევენახეობის ფერადოვანი ატლასი.

დღეისთვის უკვე შესრულებულია დიდი მოსამზადებელი მუშაობა. კერძოდ, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში გაგზავნილი იყო სპეციალური ექსპედიციები ცალკეული სახის ვაზების შესასწავლად.

„სსრ კავშირის ამპელოგრაფიის" შედგენაში მონაწილეობას იღებს 9 სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულება, 200-მდე მეცნიერი მუშაკი — მეღვინეობისა და მევენახეობის საბჭოთა საუკეთესო სპეციალისტები.

„სსრ კავშირის ამპელოგრაფია" 600 ნაბეჭდი ფურცლისაგან შედგება. იგი ილუსტრირებული იქნება 4 ათასი ნახატით, ფოტოგრაფიული სურათითა და კარტოგრამით. მთელი გამოცემა სამი წლის ვადაში უნდა დამთავრდეს.

ᲩᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲩᲘᲥᲐᲠᲔᲑᲐ

სტალინის პრემიის ლაურეატმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ - კორესპონდენტმა ს. ზ. როგოვსკიმ 13 მაისს აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე გააკეთა მოხსენება ტექნოლოგიური პროცესების დასაჩარებლად კატალიზის გამოყენების დარგში საბჭოთა მეცნიერების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

კატალიზატორები წარმოადგენენ ისეთ ნივთიერებას, რომელსაც შეუძლია დაიჩქაროს და მოაწესრიგოს ქიმიური პროცესები. კატალიზური პროცესები შესაძლებლობას გვაძლევენ მივიღოთ ახალ სახეთა სინთეზური კაუჩუკი და მატორის სათბობი, შევიმუშაოთ ბუნებრივი და ტექნიკური ბაზების გამოყენების ახალი მეთოდები.

საბჭოთა მეცნიერებმა კატალიზის თეორიის დარგში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. მათ პირველებმა შეჰქმნეს ამონიაკის კატალიზური სინთეზის თეორია. მიღებულია სინთეზური კაუჩუკის მრეწველობისათვის საჭირო ახალი სახეთა ნედლეული. განსაკუთრებით დიდი წარმატებებია მიღწეული ბიოქიმიური კატალიზის დარგში (სტალინის პრემიის ლაურეატის, აკადემიკოს ა. ნ. ბახის ნაშრომები).

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა სპეციალურ კომისიას დაავალა შეიმუშავოს ღონისძიებანი მეცნიერებასა და ტექნიკაში კატალიზის გამოყენების გასაფართოებლად. (საკდესი).

ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲜᲐᲮᲝᲕᲜᲘ

მარიუპოლი, (საკდესი). მარიუპოლის მხარეთმცოდნეობის სოლელო მუზეუმის მუშაკებმა კრასტარსკის სტალინის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს მატყლოვანი მარტორქის სრული ჩონჩხი. მუზეუმში მოიტანეს ცხოველის ქალა და ზოგიერთი ძვალი. მთელი ჩონჩხი მიწაში 9 მეტრის სიღრმეზეა ჩაფლული. მაისში ამ ჩონჩხს საკუთარი ამოსთხრიან, აწყობენ და მუზეუმის ერთერთ დარბაზში გამოაფენენ.

○

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პალეონტოლოგიური ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ა. ა. ბორისიაკმა განაცხადა:

— კრასტარსკში ნაპოვნი მარტორქა განსაკუთრებულ მეცნიერულ ინტერესს წარმოადგენს.

მატყლოვანი (ციმბირის) მარტორქა პირველყოფილი ნამარხი ადამიანის ეპოქის (დაახლოებით 500 ათასი წლის წინათ) მამონტის მეთოხეული ფაუნის წარმომადგენელია. სსრ კავშირის ტერიტორიაზე დღემდე ასეთი მარტორქის მხოლოდ ცალკეულ ძვლებს ან კბილებს პოულობდნენ, მისი სრული ჩონჩხი ერთხელაც არ ყოფილა აღმოჩენილი. მთელ მსოფლიოში მატყლოვანი მარტორქის მხოლოდ რამდენიმე ჩონჩხია ცნობილი. უკანასკნელი აღმოჩენის განსაკუთრებული ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ მარტორქა ნაპოვნია სამხრეთ რაიონში, სადაც ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი. საბჭოთა მეცნიერთა ახლა შესაძლებლობა მიეცემთ დეტალურად შეისწავლონ ამ ვიროვანი ცხოველის ჩონჩხის ანსამბლი ერთი მთლიანი ეგზემპლარის მიხედვით, და არა ცალკეული, დაშორიშორებული ნაწილების მიხედვით, როგორც წინათ ხდებოდა. (საკდესი).

120.000 ᲪᲮᲝᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲐᲖᲤᲣᲚᲝ ᲘᲐᲚᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲓᲐᲘᲫᲠᲐ

(ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ ᲡᲐᲯ. Კ. Ჯ. (Ბ) ᲡᲘᲫᲚᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲡᲜᲘᲗ ᲛᲓᲒᲝᲚᲘᲗ ᲐᲛᲑ. Ნ. ᲩᲘᲩᲐᲕᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ)

წელს სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობები 120.000 სულ ცხვარს მიეტანებიან საზაფხულო იალაღებზე. მეცხვარეობის ფერმებმა უკვე დაატოვეს საზამთრო საძოვრები და ამჟამად გზაში იმყოფებიან. მათ თან მიჰყვებიან ზოოტექნიკოსები, ვეტექიმები, რაიონის პასუხისმგებელი მუშაკები და განათლების განყოფილების მიერ გამოყოფილი კულტმუშაკები.

საზამთრო საძოვრებიდან ცხვრის გარეკვა 3 მაისიდან დაიწყო. გარეკვის საკითხებზე საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომმა და რაიისაბჭოს აღმასკომმა ჯერ კიდევ 8 აპრილს მიიღეს სპეციალური დადგენილება და ჩატარდა კოლმეურნეობების გამეჯვების თათბირი, რომელზეც განხილულ იქნა ცხვრის გარეკვის კალენდარული გეგმა. ყველა კოლმეურნეობის დროულად მიეცა საძოვრები თრიალეთისა და კავკასიონის მთებზე. გამოიყო მწყემსები, რომლებსაც მიეცათ 1.000-მდე ახალი ფარაჯა და ნაბადი. ორხეტები, ნავთლულის ახლოს სიღნაღის რაიკოოპკავშირმა გახსნა სავაჭრო, რომელშიც მწყემსები იძენენ მათთვის საჭირო პირველი მოთხოვნილების საგნებს.

გარეკის წინ ცხვრის თათბირს მთელი სულადობა, განსაკუთრებით მეტისტური თაობა ყუთურის საწინააღმდეგოდ ორჯერ გატარდა კრეოლინის ხსნარის აბაზანებში.

არის ნაკლოვანებებიც. მაგალითად, სოფ. ნუკრიანის კოლეტეხნიობა „ლენინის ანდერძის" მეცხვარეობის ფერმა საზამთრო საძოვრებიდან დაგვიანებით გავიდა. სოფ. ტიბანის „კოლმეურნეობა „ხარსის გლეხთა მრეთის" მწყემსებმა საზაფხულო იალაღებზე მიმავალ ცხვარს თაგვის საწინააღმდეგო მოწამლული მინეორი მოამთვინეს, ამის გამო 5 სული ცხვარი მოკვდა.

მიუხედავად ზოგიერთი ნაკლოვანებისა, საერთოდ წელს ცხვრის გარეკვა ორგანიზებულად მიმდინარეობს. მიღებული გვაქვს ყოველგვარი ზომა იმისათვის, რომ მეცხვარეობის დროს არ დაგვეკარგოს არცერთი სული ცხვარი და მთელი სულადობა საზაფხულო იალაღებზე ჯანსაღად და კარგად ავეყვანოთ.

ᲛᲔᲡᲘᲠᲘ ᲧᲣᲠᲐᲦᲦᲔᲑᲐ ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲔᲗᲐ ᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲐᲡ

წელს მარტო ბოგდანოვკის რაონის საძოვრებზე ზაფხულს გაატარებს თბილისის რაიონის კოლმეურნეობათა 50.000 სული ცხვარი, სოხუმის სს რესპუბლიკის საძოვრებზე — 10.000 სული, დანარჩენი კი — თიანეთის რაიონისა და სხვა საძოვრებზე.

ცხვრის გარეკის, დაბინავებისა და წესიერი მოვლის უზრუნველსაყოფად კოლმეურნეობებმა ფრიად საყოფიერი მუშაობა ჩაატარეს. განსაკუთრებით ეს ითქმის სოფ. ლილოს სტალინის სახელობის, სოფ. სოფანლუღის მახარაძის სახელობის, სოფ. ავეჯლის ბერიას სახელობის და სხვა კოლმეურნეობებზე. მათ დროულად დააკომპლექტეს ბრიგადები, გამოჰყვეს მწყემსები, მოამზადეს ურმები, მეზვარეობასთვის შეადგინეს ზოოვეტბრიგადები, მოიმზადეს საზხრები, პასპორტები, პროდუქტები და სხვ.

მაგრამ ყველა კოლმეურნეობაში ასე როდი მოიქცნენ. მოეხდავად იმისა, რომ კალენდარული ვადების მიხედვით თბილისის რაიონის კოლმეურნეობათა ცხვრის გარეკვა 15 მაისს უნდა დაიწყოს და 25 მაისს დამთავრდეს, დღემდე ზოგიერთ კოლმეურნეობას საჭირო რაოდენობით მწყემსებიც არ გამოუყვია. მაგალითად, სოფ. ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე შ. ტაკაშვილი) აკლია 5 მწყემსი, სოფ. მარტყოფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე შ. ძამაშვილი)—6 მწყემსი და სხვ.

გამეზვარეები წინ კრეოლინის ხსნარში ცხვრის გაბანების უზრუნველსაყოფად კოლმეურნეობებს დროულად მიეცათ საჭირო მასალა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ სამუშაოს ჩატარება ზოგან მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს. მაგალითად, სოფ. მარტყოფის კოლმეურნეობებში ცხვრის გაბანების აგვიანებენ.

აღსანიშნავია, რომ ცხვრის დროულად გაბანების საქმეს ნაკლები ყურადღებით მოეკიდა თბილისის რაიმაზეგანიც. სოფ. ლილოს, ნორიოს, ახალსოფლის და სხვა კოლმეურნეობათა ცხვრის გასაბანად ლოჭინიში აბაზანა მიწგანს ზზაე უნდა ჰქონოდა აპრილის ბოლო რიცხვებისათვის, ნამდვილად კი აღნიშნული აბაზანა დღემდე არ მოუმზადებიათ.

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲒᲣᲚᲘ

საქართველოს ბევრმა მეთესლეობის რაიონულმა მეურნეობამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ხარისხოვანი სათესლე მასალის მოყვანასა და სახელმწიფოსათვის ჩაბარებაში. ხაშურის რაიონის მეთესლეობის მეურნეობამ „მშრომელმა გლეხმა", გორისა და — „სიხარულით კომეონზმისაკენ" და სხვებმა რაიონის საშუალო მოსავალზე 10 პროცენტით მეტი აიღეს, უზრუნველჰყვეს სათესლე მასალის ხარისხობრივი თვისებების შენარჩუნება და შემდგომი გაუმჯობესება.

საქართველოს სსრ მიწსახკომის ბრძანებით რაიონული მეთესლეობის მეურნეობათა საუკეთესო აგრომომსახურებისათვის რამაც უზრუნველჰყო მარცვლეულის ხარისხოვანი სათესლე მასალის მოყვანისა და ჩაბარების გეგმების შესრულება, დაჯილდოებული არიან: ქუთაისის რაიონის ამხ. ვ. სტურუას სახელობის მეთესლეობის მეურნეობის აგრონომი ნ. არაბიძე, ხაშურის რაიონის მეურნეობა „მშრომელი გლეხის" აგრონომი ი. კუკუხიძე, ტალინის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის მეურნეობისა—ნ. გაჩეჩილაძე, წალკის რაიონის 26 კომეურარის სახელობის მეურნეობისა — ა. დანაჩვები, გორის რაიონის მეურნეობისა „სიხარულით კომეონზმისაკენ"—ს. ბარამიძე და აბაშის რაიონის ბაქრაძის სახელობის მეურნეობისა—ი. კაპანეა. (საქდესი).

გალის რაიონი. ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის პირველი დღეები სოფელ ოჩუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში სურათზე: (წინა პლანზე) საკ. კ. ჯ. (ბ) წევრები, კოლმეურნეობის სტაჯანოვლები (მარჯვნიდან მარჯვენე) მ. შამათავა, დ. ივანია, რომლებმაც 1941 წელს გამოიმუშავეს 120 შრომადღე ე თვითეულმა, ჩაის ფოთლის ჭარეფენ. ფოტო მ. ჭკონიასა შეალისა (საქდესის ფოტოკორესპ.).

ᲤᲯᲘᲠᲗᲬᲘᲠᲕᲘᲡ 1941 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲤᲝᲗᲝᲗᲘ, („ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲙᲠᲗ.) საკ. კ. ჯ. (ბ) XVIII კონფერენციის გადწყვეტილებათა რეალიზაციისათვის საწარმოო გეგმის თანაბრად, გრაფიკის მიხედვით შესრულებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ერთძმეთთან დაკავშირებულ საწარმოთა შეთანხმებულ მუშაობას. ასეთები არიან ფოთის ნავსადგური და რკინიგზის სადგური.

ფოთის ნავსადგურის მუშაობას გასულ წელს იერიშობანაა ახასიათებდა, წლიური გეგმა ნავსადგურმა მეოთხე კვარტალში შეასრულა. ამის მიზეზი იყო ამიერ-კავკასიის რკინიგზის, ფოთის ნავსადგურისა და აზოვ-შავი ზღვის სანაოსნოს შეუთანხმებელი მუშაობა. რკინიგზა დროულად არ აწვდიდა ნავსადგურს ვაგონებს საჭირო რაოდენობით, აზოვ-შავი ზღვის სანაოსნო კი გემებს. თავის მხრივ ნავსადგური დროულად არ იხდენდა ვაგონებისა და გემების დატვირთვა-გადმოტვირთვას და ამრიგად ტვირთბრუნვის გრაფიკი ირღვეოდა.

ეს მდგომარეობა ნაწილობრივ მიმდინარე წელსაც გრძელდება. ფოთის ნავსადგურის ნორმალური, რიტმიული მუშაობისათვის უადრესად მნიშვნელოვანია კომპლექსური სოციალისტური შეჯიბრების გაწევა ამ საწარმოებს შორის. ასეთი შეჯიბრება გაწეული იყო 1940 წელს. ამ შეჯიბრების შედეგებს და 1941 წლისათვის ახალი შეჯიბრების გაწევას მიეძღვნა 27 აპრილს ფოთის ნავსადგურის სტახანოველთა შეკრება, რომელსაც ეესწრებოდნენ მარიუპოლის ნავსადგურის სტახანოველები, აზოვ-შავი ზღვის სანაოსნოს პოლიტგანყოფილების მუშაკები, სანაოსნოს მეზღვაურები, ჰიათურის მარგანტრესტის, ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას ხახელობის და სამხრეთ-დონეცის რკინიგზების წარმომადგენლები.

სტახანოველთა შეკრებამ მოიხმინა ფოთის ნავსადგურის უფროსის ამხ. კ. რეკვიკის მოხსენება ნავსადგურში კომპლექსური შეჯიბრების შედეგებზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ნავსადგურის საწარმოო რაიონების გასულ წელს კომპლექსურ შეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავდათ აზოვ-შავი ზღვის სანაოსნოს მთელი რიგი გემები. მაგრამ ნავსადგური ჩამორჩა გემებისა და ვაგონების მოცდენის აღმოფხვრის მხრივ და სხვ. ეს ნაკლოვანებები წელსაც გრძელდება.

გემების დროზე დატვირთვის სერიოზულად აფერხებს ის, რომ ე. წ. ზურგის საწყობებიდან, რომლებიც რამდენიმე ათეული მეტრით არიან დაშორებული გემბოსადგომს, ტვირთის გადმოტანა ძნელდება. ამასწინათ მორიგე დისპეტჩერმა ამხ. ტ. თავბერიძემ წამოაყენა წინადადება მოეწყოთ ლითონის ღარები, რაც გაადვილებდა იქიდან ტვირთის გადმოტანას და ნავსადგურს აიცდენდა გემებისა და მუშა-ხელის მოცდენას, ეს წინადადება მიიღეს, მაგრამ მას რატომღაც არ ანხორციელებენ.

ნავსადგურში სოციშეჯიბრებას სუსტად ხელმძღვანელობენ. კომპლექსური სოციშეჯიბრის შედეგები არ მოწმდება. უარესი მდგომარეობაა ნავსადგურის მეორე საწარმოო რაიონში. აქ შეჯიბრებას კიდევ უმეტესადენ ეკიპაჟებს შორის შეჯიბრება სრულებით არ ეყო. ამის შედეგია ის, რომ ამ რაიონს არცერთი დიდი ტვირთმზიდავი გემი არ გაუშვია ვადაზე ადრე.

აღსანიშნავია, რომ ფოთის ნავსადგურში არავინ იცის, ესა თუ ის მუშა რამდენი პროცენტით ასრულებს გეგმას. ეს იმიტომ, ხდება, რომ ცალკეულ მუშებს არ აძლევენ დატვირთვა-გადმოტვირთვის კონკრეტულ გეგმებს და ნორმებს. ისინი ეძლევა მხოლოდ ბრიგადას და ხოოფასიც თანაბრად იყოფა ბრიგადის წევრებს შორის. ამრიგად, ადგილი აქვს ხელფასის გათანაბრებას, რაც არ აძლევს მუშას დაინტერესების სტიმულს.

ნავსადგურში ჯერ კიდევ სუსტად სწარმოებს შეჯიბრებაში გამარჯვებულთა გამოცდილების გაზიარება. ყველა გემთან არ ხდება კომპლექსური შეჯიბრების ხელშეკრულების გაფორმება.

სტახანოველთა ამ თათბირის მონაწილეებმა, აიღეს რა ვალდებულებანი, ფოთის ნავსადგურს წაუყენეს თავიანთი მოთხოვნილებები.

აქვე ხელმოწერილ იქნა კომპლექსური სოციშეჯიბრების ხელშეკრულება, რომლის განხორციელებისათვის ბრძოლა უზრუნველჰყოფს ტვირთზიდვის გეგმების დროულად შესრულებას.

თათბირმა მიიღო მიმართვა, სადაც კომპლექსური შეჯიბრების მონაწილე კოლექტივებს მოუწოდა შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულონ ვადამდე. 12 დეკემბრისათვის.

ᲐᲑ. ᲜᲐᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲝᲛᲘ ᲔᲕᲠᲝᲠᲞᲐᲡᲐ. ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲖᲘᲐᲗᲘᲡ

ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲔᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲔᲢᲐᲚᲘ

ინგლის-გერმანიის ფრონტზე ავიაციის აქტივობა, 12 მაისს ღამით, — ნათქვამია ბერლინის სარდლობის ცნობაში, — მის გერმანიის თვითფრინველებმა ყუმბარა დააგდეს ინგლისის სარდლობის ინფორმაციით, ინგლისელ ლეტჩოლ-ოლეანდრეს ინგლისის ერთ-ერთ ბანკში, აფრეთვე დაზიანებულ ფოთოლ ოლეანდრეს ინგლისის ერთ-ერთ ბანკში, ინგლისელ

პარტიული ცხოვრება

რა სთქვეს ბათუმელმა ნავთის მუშაკებმა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე

ბათუმი („კომუნისტის“ კორ.). 2 დღეს მიმდინარეობდა ბათუმის სტალინის სახელობის ნავთსახდელი ქარხნის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება, რომელსაც 226 კომუნისტი დაესწრო. პარტბიუროს მოხსენება ამბ. ლ. სტეფანოვმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ საანგარიშო პერიოდში პარტბიუროო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა წარმოების ეკონომიკის საკითხებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მომხსენებელმა ძალიან ცოტა სთქვა პარტბიუროს მუშაობის ნაკლოვანებებზე, კერძოდ შესრულების შემოწმების მიმდინარეობაზე. ამ მხრივ კი, როგორც კრებაზე გამოირკვა, პარტბიუროო სუსტად მუშაობდა. აქ გასული წლის წარმატებით დაკმაყოფილდნენ და შეიარელეს ბრძოლა გეგმის შესრულებისათვის. ამის შედეგად ქარხანამ მიმდინარე წლის პირველი კვარტალი გაიარე

ახალი თვითმფრინავების წარმოება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 13 მაისი (საკუთარი). ჟურნალი „ავიეიშენის“ ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს „ნორდ ამერიკენ ავიაციშენის“ კომპანიის ახალ ავიაგამანადგურებელ „X11-51“-ს. ეს არის მთლიანად ლითონის თვითმფრინავი; იგი იწონის 3.178 კგ. ფრთების სიგრძე 11 მეტრს უდრის. თვითმფრინავზე დადგმულია სითხით მაცივარი მოტორი „ალისონი“. „რიპაბლიკ ავიაციშენ კორპორეიშენის“ საავიაციო კომპანია ავიაგამანადგურებელ „ა-43“-ის მასობრივი წარმოებისათვის ემზადება. ავიაგამანადგურებელი „ა-43“ ეგრეთწოდებული „ლენსერი“ იწონის 3.132 კგ.-ს და აქვს „პრატ-უიტნის“ 1.200 ცხენძალიანი ჰაერით მაცივარი მოტორი. ამზადებენ აგრეთვე თვითმფრინავ „ა-35“-ის მასობრივ წარმოებას, ამ თვითმფრინავის მაქსიმალური სიჩქარე სათაში 600 კმ.-ს უდრის. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამ კომპანიამ გამოუშვა ახალი, უფრო სრულყოფილი თვითმფრინავი „ა-47“, რომელსაც დაახლოებით 2000 ცხენძალიანი მოტორი აქვს.

ამერიკის საქონლის ექსპორტი ბრიტანეთის იმპერიაში

ნიუ-იორკი, 13 მაისი (საკუთარი). როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტრო გადმოგვცემს, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ამერიკის ექსპორტი ბრიტანეთის იმპერიაში 620 მილიონს ანუ მთელი ექსპორტის დაახლოებით 63 პროცენტს უდრიდა; გასული წლის პირველ კვარტალში კი გატანილი იქნა 401 მილიონი დოლარის საქონელი ანუ მთელი ექსპორტის 37,5 პროცენტი.

ამერიკის დიპლომატები მაროკოსა და ჯანქერში ჩავიდნენ

ლონდონი, 13 მაისი (საკუთარი). „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ ეუწყება, რომ მაროკოში ჩავიდა ამერიკის ვიშის საელჩოს მრჩეველი მერფი, რომელიც მამდინარე წლის მარტიდან ვიშინგტონში იმყოფებოდა. მერფი მიეძგზავრება რაბატს ნოგესთან და საფრანგეთის ხელისუფალთა წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად. ამ დღეებში იქვე მოელინა ამერიკის ტანჯერის დიპლომატიური მისიის ახალ სამხედრო ატაშეს მაორი ბენტლი. ბენტლი იყო რომაელი სამხედრო ატაშეს თანაშემწე; რომიდან იგი გაწყვეტილ იქნა იტალიის მთავრობის მოთხოვნით. ბენტლი იქნება ოფიციალური საერთაშორისო სამხედრო შეთვალყურე მაროკოში.

დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ჩინეთსა და ავსტრალიას შორის

ჩუნცინი, 13 მაისი (საკუთარი). გუშინ ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოაქვეყნა კომუნიკე ჩინეთსა და ავსტრალიას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ. ჩინეთის მთავრობამ და ავსტრალიის მთავრობამ, — ნათქვამია კომუნიკეში, — გადაწყვიტეს ერთმანეთს გაუგზავნონ დიპლომატიური წარმომადგენლები. ჩინეთის მთავრობა მალე გაგზავნის დესპანს კანბერაში, ხოლო ავსტრალიის მთავრობა დანიშნავს დესპანს ჩუნცინში.

გაზგენერალგეგრული ავგოომობილთა მომსახურება გერმანიაში

ბერლინი, 13 მაისი (საკუთარი). გაზუთების ცნობით ავტომობილები, რომლებსაც გაზგენერატორული დანადგარები აქვთ, ხს სათობოს მიიღებენ გერმანიის ავტოსტრადებზე დადგმულ ბენზინის ჯოჯერებში. ამჟამად 11 ასეთმა ჯოჯერთან უკვე მოაწყო ხის სათობობის გაცემა გზებზე ცენტრალურ გერმანიაში. უახლოეს ხანში, სწერს ბიულტენი „დინსტ აუს დოიჩლანდი“, — გაზგენერატორული სათობოთ მომუშავე ავტომობილებს შეეძლებათ ავტოსტრადებზე დადგმულ მეტ ფილ ჯოჯერებში მიიღონ ხის სათობობი.

ავსტრალიის შრომისა და ნაციონალური პროგრამის მინისტრის განცხადება

ნიუ-იორკი, (საკუთარი). როგორც იუნაიტედ პრესის საგაგენტო მელბურნიდან გადმოგვცემს, ავსტრალიის შრომისა და ნაციონალური ბეგარის მინისტრ ჰოლტის განცხადებით, ავსტრალიის არმიაში გაწვეული 200 ათასი კაციდან (20-დან 24 წლის ასაკამდე) დაახლოებით 10 პროცენტი დაწუნებულია ფიზიკური მდგომარეობის გამო, ხოლო 15 პროცენტი განთავისუფლებულია იმისთან დაკავშირებით, რომ სამხედრო მრეწველობის საწარმოებში მუშაობდნენ. ომის დაწყებიდან ამა წლის მარტამდე ავსტრალიის არმიაში, რომელიც ავსტრალიის საზღვრებს იქით გაიგზავნა, 157 ათასი მოხალისე შევიდა.

უთანხმოება ევაკუირებული ქარელების დასახლების საკითხის გამო ფინეთში

ჰელსინკი, 13 მაისი (საკუთარი). ამ დღეებში ფინეთის სეიმმა განიხილა ახალი კანონპროექტი სსრ კავშირსა და ფინეთს შორის 1940 წლის 12 მარტს დადებული საზავო ხელშეკრულებით სსრ კავშირის ხელში გადმოსული ადმოსავლეთ რაიონებიდან ევაკუირებული კარელების სასწრაფოდ დასახლების შესახებ. როგორც ცნობილია, ფინეთის მთავრობამ ჯერ კიდევ 1939 წლის სექტემბერს დაიწყო ფინეთის ადმოსავლეთი რაიონებიდან მოსახლეობის იძულებითი ევაკუაცია. ამის შედეგად ასობით და ათასობით კარელი გლეხები, მუშები და მოსამსახურენი უმწეო მდგომარეობაში აღმოყოფნიან. გასული წლის 28 ივნისს სეიმმა მიიღო კანონი ევაკუირებული კარელების სასწრაფოდ დასახლების შესახებ. მაგრამ ამ კანონის გამოცემისთანავე აშკარა კამპანია დაიწყო მისი რეალიზაციის წინააღმდეგ. შვედმა და ფინელმა მსხვილმა მიწათმფლობელებმა კატეგორიული უარი სთქვეს დაეთმთ თავიანთი მიწები კარელთა დასასახლებლად. კანონსათვის რომ გვერდი ავლეთო და თავიანთი მიწები შეენარჩუნებინათ, მათ მოითხოვეს ეგრეთწოდებული „სანაცვლო“ მიწის ნაკვეთების შესყიდვისა და ამ ნაკვეთების გადმოსახლებულთათვის გადაცემის უფლება. „სანაცვლო“ ნაკვეთებად არჩიეულ იქნა მიწები, რომლებიც ხშირად მიწის მესაკუთრეთა ადგილ-მამულებს ისეთი კილომეტრობით არის დაშორებული და დასამუშავებლად ნაკლებად გამოსადეგია. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურად გამოდიოდა შვედთა „სახალხო პარტია“ და მისი ლიდერი ფონ ბორნი — ფინეთის შინაგან საქმეთა მინისტრი. მან ჯერ კიდევ გასული წლის 1 დეკემბერს ულტიმატუმური ფორმით მოითხოვა ეგეცავლათ კანონი კარელთა დასახლების შესახებ ისე, რომ „სანაცვლო“ ნაკვეთთა შესყიდვის ვადა 1941 წლის დამლევამდე გაგრძელებულიყო. მიწის მსხვილ მესაკუთრეთა ზეგავლენით მთავრობამ სეიმში შეიტანა კანონპროექტი სასწრაფო დასახლების კანონის შეცვლის შესახებ, კერძოდ, „სანაცვლო“ მიწის ნაკვეთების შესყიდვის ვადად 1941 წლის სექტემბრის დაწესების შესახებ. ამის მიუხედავად, სეიმის სასოფლო-სამეურნეო კომისიამ უარჰყო კანონპროექტის „22-ა“ პარაგრაფი, რომელიც ითვალისწინებდა „სანაცვლო“ ნაკვეთების შესყიდვის ვადის გადადებას 1941 წლის 1 სექტემბრამდე. 2 მაისს სეიმში შესდგა ახალი კანონპროექტის პირველი განხილვა. პრემიერმა, რომელიც სეიმში გამოვიდა, მოითხოვა კანონპროექტის მოწონება. ბეგრი დებატატი, უმთავრესად აგრარიები, დაიჭიბნენ მოითხოვდა „22-ა“ პარაგრაფის ამოშლას. სეიმის დიდ კომისიაში კანონპროექტის განხილვის შემდეგ, 9 მაისს შესდგა მისი მეორე განხილვა სეიმში.

ხმის უმრავლესობით კანონპროექტის „22-ა“ პარაგრაფი და სხვა ნაკლებმნიშვნელოვანი პუნქტები უარყოფილ იქნა. შინაგან საქმეთა მინისტრი ფონ-ბორნი გადადგა. სეიმში გამართოლმა კამათმა (ცხადჰყო, რომ შინაპოლიტიკური ბრძოლა ფინეთში გამწვავდა.

ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის მორელები ე. ტორიანელი, ა. ფარინა, ტ. ტაციაზე. კვარტეტი მომსაურებას უწევ ს ლ. ლუცენკოსი (საქართველოს ფოტო ა. ლუცენკოსი (საქ.ფოტო ოქრონიკა).

ბორის წარსულის შესწავლა

ბორი (საქართ.). ბორის მბრაფშოლოდნეთის მუზეუმი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ბორის წარსულის შესასწავლად.

მუზეუმის მეცნიერმა მუშაკებმა დიდძალი ბიბლიოგრაფიული მასალა დაიგროვეს, რომელიც ბორის ისტორიას ეხება (მოგზაურთა წერილები და შენიშვნები, ისტორიული საბუთები, ეთნოგრაფიული, ფოტოსურათები, ნახატები).

მრავალი ძვირფასი მასალა, სიგელ-გუჯრების სახით, დაცულია ენობილი სამზეადგომ მოღვაწეს — ალეგანდრე ბარსეკანიშვილს არქივში, რომელიც მუზეუმმა შეიძინა. ამჟამად მიმდინარეობს ამ არქივის გარჩევა და შესწავლა.

ცნობილია, რომ ძველად ბორში ბეგარი შესანიშნავი სასახლე და შენობა იდგა. 1663 წელს რუსეთმ მეფეს ბორში დიდი სასახლე ააგო, რომელიც ფართო დარბაზები იყო; სასახლის ეზო შემაღული იყო ბალთითა და შადრევნებით; მას ჰქონდა კარის ეკლესიაც. ამ სასახლეს ჩვენს დრამდე არ მოღწეულა. ბორის მუზეუმის მუშაკებმა მიაგნეს იმ ადგილს, სადაც ეს სასახლე იყო აგებული (ბორის ციხის სამრეკლო კალთა). ამ ადგილის ფლეცაც დაცულია კარის ეკლესიის ნანგრევები.

მასალა, რომელიც ბორის ისტორიას ეხება, მუშავდება და სიფაქიზლად დაიდება ბორის შესახებ მონოგრაფიის, რომელსაც ბორის მუზეუმი ამზადებს.

კრიტიკა

ახალი ჩეჩკიოლნები

დამთავრდა ლენინის ორდენოსან სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის“ მოკრიფეთა შეჯიბრება საკავშირო პირველობაზე. შეჯიბრებამ, რომელშიც მონაწილეობდა 100-მდე მოკრიფე, დიდი ინტერესი გამოიწვია.

საკავშირო რეპბლიკა „სპარტაკის“ ნაზი ხელფასუნა წარითი კატეგორიაში მოიპოვეს შემდეგნი მოკრიფეებმა: ეფმენკენ (ბელორუსიის სსრ), ჩრატე წონა—ტენმოგოროდი (უკრაინის სსრ), ბანტამუმუტი წონა—ბაგინი (უკრაინის სსრ), მუხუტეი წონა—სტეპანოვი (ლონის როსტოვი), ბანტამუმუტი ფეხბურთელი (ბელორუსიის სსრ), ჩრატე (მოსკოვი), ფეხსუფალი წონა—ბერეინი (ლენინგრადი), ბანტამ-ფეხბურთელი (ბელორუსიის სსრ